



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030124710612720

№ 01-244/თ

07 / ივნისი / 2020 წ.

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ:

1. „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველ პუნქტს „ყ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ“ ქვეპუნქტი:

„შ“ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სამუშაო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის (დანართი N25).“.

2. ბრძანებას დაემატოს დანართი N25 (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სამუშაო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის) თანდართული რედაქციით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდამსულია  
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე